



თბილისის ღია სასწავლო
უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის დებულება

(დამტკიცებულია აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის 22 იანვრის #77
დადგენილებით)

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი	4
მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო.....	4
მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი.....	4
მუხლი 3. უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები	4
მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზნები.....	5
თავი II. უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მათი უფლება-მოვალეობები.....	6
მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები.....	6
მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები.....	6
მუხლი 7. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი.....	7
მუხლი 8. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის უფლებამოსილებები.....	7
მუხლი 9. სენატის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სხდომების მომზადებისა და ჩატარების წესები.....	8
მუხლი 10. სენატის წევრთა არჩევა.....	8
მუხლი 11. სენატისა და სენატის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.....	8
მუხლი 12. მმართველობითი საბჭო. მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები...8	
მუხლი 13. უნივერსიტეტის რექტორი-მისი უფლება -მოვალეობები.....	9
მუხლი 14. რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება.....	10
მუხლი 15. უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი-მისი უფლება-მოვალეობები.....	10
მუხლი 16. ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.....	11
თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.....	12
მუხლი 17. სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი.....	12
მუხლი 18. საფინანსო სამსახური	12
მუხლი 19. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.....	12
მუხლი 20. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.....	13
მუხლი 21. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.....	13
მუხლი 22. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.....	13
მუხლი 23. უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი.....	14
მუხლი 24. სამეურნეო -ტექნიკური სამსახური.....	14
მუხლი 25. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;.....	14
მუხლი 26. ბიბლიოთეკა.....	15
მუხლი 26 ¹ . სამართლის და ეკონომიკის ცენტრი.....	15
თავი IV. უნივერსიტეტის სკოლები.....	15
მუხლი 27. სკოლები.....	15
მუხლი 28. სკოლის საბჭო.....	16
თავი V. უნივერსიტეტის პერსონალი.....	16
მუხლი 29. უნივერსიტეტის პერსონალი	16
მუხლი 30. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.....	16
მუხლი 31. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.....	16
მუხლი 32. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები.....	16

მუხლი 33. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი	16
მუხლი 34. მოწვეული პერსონალი (მასწავლებელი და სპეციალისტი).....	17
მუხლი 35. აკადემიური/მოწვეული /სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები.....	17
მუხლი 36. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლებები და ვალდებულებები.....	17
მუხლი 37. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი.....	17
თავი VI. სტუდენტი.....	17
მუხლი 38. უნივერსიტეტში სტუდენტების მიღება.....	17
მუხლი 39. სტუდენტის უფლება-მოვალეობები.....	17
მუხლი 40. სტუდენტის ვალდებულებები.....	18
მუხლი 41. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა.....	18
მუხლი 42. სტუდენტური თვითმმართველობა.....	18
თავი VII. განათლების საფეხურები.....	18
მუხლი 43. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები.....	18
თავი VIII. აკადემიური ხარისხი.....	19
მუხლი 44. აკადემიური ხარისხის მინიჭება.....	19
თავი IX. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.....	19
მუხლი 45. უნივერსიტეტის დებულების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება.....	19

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) დებულება არის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესის, უნივერსიტეტის მართვის პრინციპებისა და წესების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული აქტი.

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, უნივერსიტეტის დებულებებს და წინამდებარე დებულებას.

2. სასწავლო უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი“. ინგლისურად : „Tbilisi Open Teaching University” Limited Liability Company. უნივერსიტეტის სახელწოდების აბრევიატურაა: შპს „თოუ“; ინგლისურად „TOU“ LLC ;

3. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: უნივერსიტეტის ქ №2, ქ. თბილისი, 0177 , საქართველო.

4. უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიშები, ოფიციალური ვებ-გვერდი - <https://www.openuni.edu.ge> და იურიდიული პირისათვის დადგენილი სხვა ატრიბუტიკა.

მუხლი 3. უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხედვაა, იყოს ხარისხიანი განათლების მიღების, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული უნარების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე დაწესებულება, რომელიც მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

2. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, სამეცნიერო კვლევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნითა და პრაქტიკული უნარების განვითარებით მისცეს სტუდენტებს საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესაბამისი განათლება. უნივერსიტეტში მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნით, ხელი შეუწყოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირებას.

3. ღირებულებები

○ ღიაობა

სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის ღიაობა ახალი იდეების, ინოვაციებისა და ცვლილებებისათვის.

○ ჩართულობა

გადაწყვეტილებების მიღება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობითა და მონაწილეობით.

○ ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირება და თანამშრომლობა.

○ პროგრესულობა

თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვა სწავლის, კვლევისა და ორგანიზაციული განვითარების სფეროში.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზნები

1. უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ძირითად მიზნებს, მათ შორის:

- ა) ქართული და მსოფლიო კულტურული ფასეულობათა დამკვიდრების ხელშეწყობას;
- ბ) ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მის დასამკვიდრებლად სწრაფვას;
- გ) სტუდენტის ჩამოყალიბებას დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების მატარებელ მოქალაქედ;
- დ) სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას; სასწავლო პროგრამების განხორციელების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწავლების უახლესი მეთოდოლოგიის დანერგვას, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროფესიულ არჩევანის შესაბამისი ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;
- ე) უნივერსიტეტის ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით სივრცეში საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლითი ან/და ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო (პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში) პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას;
- ვ) უნივერსიტეტში მიღებული ცოდნითა და შექმნილი უნარ-ჩვევებით, შიდა და გარე შრომის ბაზრისათვის, უმაღლესი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებას;
- ზ) უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

2. უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება.

3. უნივერსიტეტმა შეიძლება განახორციელოს ქართულ ენაში მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამები და კურსები.

4. მომავალი ათი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თავისი სწავლების და მომსახურების ხარისხით გახდეს ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სასწავლო და კვლევითი დაწესებულება.
5. მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი ახორციელებს კომპლექსურ ღონიძიებებს, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

თავი II. უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მათი უფლება-მოვალეობები.

მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია
 - აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი;
 - მმართველობითი საბჭო
 - რექტორი;
 - ვიცე-რექტორი;
 - ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური.
2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულია- სკოლა.
 - 2.1 სკოლის მართვის ორგანოები(მმართველი სუბიექტები) არიან:
 - სკოლის საბჭო;
 - დეკანი;
 3. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებია:
 - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი;
 - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური;
 - საფინანსო სამსახური;
 - ბიბლიოთეკა;
 - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
 - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
 - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;
 - სამეურნეო-ტექნიკური სამსახური;
 - სამეცნიერო- კვლევითი ცენტრი;
 - უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი;
 - იურიდიული კლინიკა;
 - სამართლის და ეკონომიკის ცენტრი (აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება #81 24.04.2018)
 4. გადაწყვეტილებას უნივერსიტეტში ცენტრალური მნიშვნელობის სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ (გარდა სკოლებისა) რექტორის წარდგინებით, აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატთან შეთანხმებით იღებს მმართველობითი საბჭო. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებითა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი (შემდგომში სენატი).

მუხლი 6. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
 - ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;
 - ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა შეხედულებებისა;

დ) არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობას, გამჭვირვალობას, საჯაროობას.

2. უნივერსიტეტში არ დაიშვება რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის არსებობა.

მუხლი 7. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი

1. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი (შემდგომ-სენატი), რომლის შემადგენლობაში შედიან თანამდებობრივი წევრები: რექტორი, ვიცე-რექტორი, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, რომელიც არჩეულია სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შესაბამისი წესის საფუძველზე და არჩევითი წევრები: აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც აირჩევიან წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით და კურსდამთავრებულები, რომლებიც აირჩევიან სკოლის საბჭოს მიერ“ .

2. სენატის თავმჯდომარეა უნივერსიტეტის რექტორი;

3. სენატში შეიძლება მოწვეულ იქნან პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, სკოლის დეკანები სათათბირო ხმის უფლებით

4. სენატი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის თავმჯდომარე – რექტორი.

5. სენატის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

მუხლი 8. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის უფლებამოსილებები

1. აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების ყოველწლიურ და სტრატეგიულ გეგმას;

ბ) სკოლის წარდგინებით და ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან შეთანხმებით ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) ხელს უწყობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ დაწესებულებათა თანამშრომლობის განვითარებას;

დ) სკოლების საბჭოს წარდგინებით სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, ასევე სწავლის თითოეულ საფეხურისა და სპეციალობისათვის-სკოლაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;

ე) იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის შექმნის/გაუქმების და ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ან არსებულის გაუქმების თაობაზე;

ვ) ადგენს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების (ECTS კრედიტების) აღიარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა წესებს;

ზ) განსაზღვრავს პროფესორის/მასწავლებლის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას, ამტკიცებს დატვირთვის ფორმებს;

თ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

ი) ამტკიცებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკადემიური პერსონალისათვის;

კ) შეიმუშავებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, საევაკუაციო გეგმას, უსაფრთხოების და სხვა წესს და ამტკიცებს მათ;

ლ) ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულების სამუშაოთა აღწერილობებს;

მ) ხელს უწყობს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას ;

ნ) იღებს გადაწყვეტილებებს საპატიო დოქტორის/პროფესორის წოდების მინიჭების შესახებ.

ო) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9. სენატის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სხდომების მომზადებისა და ჩატარების წესები

1. სენატს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი;
2. სენატის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ;
3. სენატის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სენატის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის საფუძველზე უბრალო უმრავლესობით;
4. სენატის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სენატის მდივანი, რომელსაც აირჩევა საბჭოს პირველ სხდომაზე და რომელიც ასრულებს სხდომის მდივნის ფუნქციებს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას;
5. მდივანი, სენატის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს სენატის წევრებს;
6. სენატის წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც მდივანს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 დღისა;
7. სენატის თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც სენატი ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით;
8. სენატის თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სენატის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 10. სენატის წევრთა არჩევა .

1. სენატის წევრთა არჩევა და არჩევნების ჩატარების წესი განსაზღვრულია „ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ფორმირების წესი“

მუხლი 11. სენატისა და სენატის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველები

1. სენატს უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:
 - ა) უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შემთხვევაში;
 - ბ) ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;
2. სენატის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) გარდაცვალება;
 - გ) სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
 - დ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება;
 - ვ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, შრომის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და/ან ეთიკის კოდექსის სისტემატური დარღვევა;
 - ზ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველები;
 - თ) რექტორის გადაწყვეტილება, მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით.

მუხლი 12. მმართველობითი საბჭო. მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები

1. მმართველობით საბჭოში შედის საზოგადოების დირექტორი, უნივერსიტეტის რექტორი, ვიცე-რექტორი, ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, სკოლების დეკანები, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი.
2. მმართველობითი საბჭო კოლეგიალური სტრუქტურაა და იღებს საჯარო გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის განვითარების, სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, განათლების, სტუდენტთა და პედაგოგთა მობილობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
3. გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, მმართველობითი საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტის ხმას.
4. მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტად უნივერსიტეტის დამფუძნებლის მიერ ინიშნება საზოგადოების დირექტორი.
5. მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი მმართველობითი საბჭოს სახელით ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
 - ა) უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელობას;
 - ბ) განაგებს მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას;
 - გ) განსაზღვრავს სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საკადრო, სამეურნეო და ფინანსურ პოლიტიკას;
 - დ) გამოსცემს ბრძანებებს უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით;
 - ე) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციისა და საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების პროცესს;
 - ვ) დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორს;
 - ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტს და ფინანსურ ანგარიშს;
 - თ) რექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საშტატო განრიგს და ადგენს ხელფასის განაკვეთებს;
 - ი) ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამების საფასურს;
 - კ) გასცემს მინდობილობებს და საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.
6. მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტის სხვა დანარჩენი უფლებამოსილებები რეგულირდება თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით და სხვა ნორმატიული აქტებით.
7. მმართველობითი საბჭოს მიერ, რექტორის წარდგინებით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება მოწვეულ იქნას კონსულტანტი/კონსულტანტები ფიზიკური ან იურიდიული პირის სახით.

მუხლი 13. უნივერსიტეტის რექტორი-მისი უფლება -მოვალეობები

1. რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც 3 წლის ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი დამფუძნებელთან შეთანხმებით.
2. რექტორი არის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები.

3. რექტორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შემდეგ უფლებამოსილებებს:

- ა) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
- ბ) სენატთან და მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან ერთად განსაზღვრავს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო საქმიანობის პოლიტიკას და მის ძირითად მიმართულებებს, ზრუნავს აკადემიური პერსონალის/მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- გ) მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან და/ან სენატთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს მათ შორის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.
- დ) ანაწილებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფუნქციებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს მათზე თავისი უფლებამოსილების დელეგირებას;
- ე) ქმნის კომისიებს, სამუშაო ჯგუფებს და სხვა ერთეულებს, რომელთა დამტკიცება არ საჭიროებს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის თანხმობას;
- ვ) ახორციელებს საერთო კონტროლს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- ზ) ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის საერთო კონტროლს;
- თ) გამოსცემს ბრძანებებს უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით;
- ი) ამტკიცებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და დიპლომის დანართის ფორმას;
- კ) ხელს აწერს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;
- ლ) შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავს სტიპენდიებს წარჩინებული სტუდენტებისთვის;
- მ) კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირებსა და ურთიერთობებს;
- ნ) აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს;
- ო) აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს გამარჯვებულ კონკურსანტებს;
- პ) დებს ხელშეკრულებებს სტუდენტებთან;
- ჟ) აფორმებს პერსონალთან შრომით ხელშეკრულებებს;
- რ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს;
- ს) რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს ვიცე-რექტორი/ მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი.

4. რექტორს შეიძლება ჰყავდეს მრჩეველები სხვადასხვა დარგში.

მუხლი 14. რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება

1. რექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუუნარიანად აღიარება;
- ვ) კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 15. უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი-მისი უფლება-მოვალეობები

1. ვიცე-რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც 3 წლის ვადით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ვიცე-რექტორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შემდეგ უფლებამოსილებებს:

- ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას საგანმანათლებლო პროცესის განვითარებისა და ხარისხის ხელშეწყობის ნაწილში;
- ბ) უზრუნველყოფს ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცოდნის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას;
- გ) ზედამხედველობას უწევს ფინანსური რესურსების განკარგვას.
- დ) ზრუნავს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.
- ე) უზრუნველყოფს პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას, გაფართოება-განმტკიცებას საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ბიზნეს-სტრუქტურებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ;
- ვ) უფლებამოსილია მასზე დაქვემდებარებულ სტრუქტურებს მისცეს დავალებები, მითითებანი; აგრეთვე გასცეს განკარგულებები, მოითხოვოს დოკუმენტაცია, ანგარიში;
- ზ) რექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს რექტორის მოვალეობას;
- თ) ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

მუხლი 16. ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური

1. უნივერსიტეტში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში მათი მოდიფიცირება და მათ განხორციელებაზე ზედამხედველობა, ასევე აკადემიური პერსონალის/ მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხარისხი ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას. ამ მიზნით, იქმნება ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომელიც მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დებულების შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად, მისი საქმიანობის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

3. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

4. უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური:

- ა) ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტეგრაციას უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში და ბოლონიის პროცესის პრინციპების განხორციელებას;
- ბ) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;
- გ) ახორციელებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებებს;
- დ) შეიმუშავებს და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, სწავლის ხარისხის ამაღლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებზე;
- ე) პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
- ვ) სისტემატურად ახორციელებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს და შედეგებს წარუდგენს მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტს და რექტორს

ზ) შეიმუშავებს წინადადებებს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით და წარუდგენს მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტს და რექტორს

თ) მონაწილეობს სტუდენტთა მოხილობის რეგულირების პროცესში;

ი) მონაწილეობს ECTS სისტემის სწორი გამოყენების რეგულირების პროცესში;

კ) უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის თვითშეფასების მომზადებას;

ლ) ამზადებს წინადადებებს უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაზე;

მ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსს მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტთან შეთანხმებით ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 17. სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი

1. სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. დეპარტამენტის მიზანია სასწავლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვისა და უნივერსიტეტში საქმის წარმოების ერთიანი სისტემის უზრუნველყოფის პროცესისათვის ხელშეწყობა.

4. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვას და ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებას.

5. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 18. საფინანსო სამსახური

1. უნივერსიტეტის საფინანსო სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. სამსახური დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ფინანსური საკითხების ორგანიზებას, ურთიერთობას ბანკებთან და საგადასახადო ორგანოებთან.

4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 19. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2.სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. სამსახური დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს;

ბ) კავშირების დამყარებას საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან;

გ) ზრუნავს უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებაზე.

დ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/ვიცე-რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 20. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. სამსახური დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) კავშირების დამყარებას უცხოურ უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ბ) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროგრამებსა და პროექტებში;

4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/ვიცე-რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 21. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. სამსახური, უნივერსიტეტის ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას, მუდმივ განახლებას და უნივერსიტეტის სამსახურებისა და დეპარტამენტების პროგრამულ უზრუნველყოფას.

4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/ვიცე-რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 22. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. ცენტრი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამეცნიერო პოლიტიკის სწორად დაგეგმვასა და მართვას.

4.სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 23. უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი.

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და კარიერული ზრდის ცენტრი. (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. ცენტრი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს : უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვას, რისთვისაც შეიმუშავებს სასერტიფიკატო პროგრამებს და ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს; სტუდენტებთან ურთიერთობას სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, სტუდენტური პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით; სტუდენტების/კურსდამთავრებულების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში;

4. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/მმართველობითის საბჭოს პრეზიდენტის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/მმართველობითის საბჭოს პრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 24. სამეურნეო -ტექნიკური სამსახური

1.თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამეურნეო-ტექნიკური სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3.სამსახური დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეურნეო საკითხების ზედამხედველობასა და მოწესრიგებას.

4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/ვიცე-რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 25. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური;

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. სამსახური დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას, ასევე, მატერიალური ქონების დაცვას.

4. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/ვიცე-რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 26. ბიბლიოთეკა

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის შეფერხების გარეშე განხორციელებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანიცაა უნივერსიტეტის ყველა სახის პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა თანამედროვე წიგნადი ფონდით, როგორც ელექტრონული სახის, ასევე ციფრულ მატარებელზე არსებული რესურსებით.

2. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დონის ამაღლება, სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა სამოქალაქო საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბების საქმეში.

4. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად ბიბლიოთეკა სამსახურებრივ კოორდინაციაშია უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატთან და სკოლებთან .

5. ბიბლიოთეკის გამგე თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/მმართველობით საბჭოს პრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 26¹. სამართლის და ეკონომიკის ცენტრი. (აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის დადგენილება #81 24.04.2018)

1. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის და ეკონომიკის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. ცენტრის ძირითადი ამოცანებია: ა) საკანონმდებლო რეგულაციების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევა და მისი ამაღლების ხელშეწყობა; ბ) ცენტრის საქმიანობაში საზოგადოების წარმომადგენლების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა როგორც ახალი იდეების ერთობლივად შემუშავების, ისე ცენტრის საქმიანობის შედეგების დაინტერესებული პირებისათვის გაზიარების მიზნით; გ) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.

4. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის/ვიცე-რექტორის წინაშე. ასრულებს კანონით და შესაბამისი დებულებით გათვალისწინებულ, აგრეთვე რექტორის/ვიცე-რექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

თავი IV. უნივერსიტეტის სკოლები

მუხლი 27. სკოლები

1. სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

2. სკოლის საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის დებულებით.

3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 4 სკოლა

ა) სამართლის სკოლა;

ბ) ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლა;

გ) ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;

დ) მედიცინის სკოლა.

4. გადაწყვეტილებას სკოლის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი;

5. სკოლების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასკოლო მნიშვნელობის სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

მუხლი 28. სკოლის საბჭო

1. სკოლის საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას.

2. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი. სკოლის საბჭო წყვეტს სკოლაში მიმდინარე საკითხებს.

3. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედიან სკოლის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

4. სკოლის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

თავი V. უნივერსიტეტის პერსონალი

მუხლი 29. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

მუხლი 30. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორებისგან და ასისტენტებისგან..

მუხლი 31. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი.

3. აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე კონკურსს აცხადებს რექტორი, რომელიც ამ მიზნით ქმნის კომისიას.

4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 32. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები

1. აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად.

2. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად აკადემიურ თანამდებობაზე ასევე შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიური ხარისხის არმქონე პირიც პროფესიული კვალიფიკაციის ნიშნით.

მუხლი 33. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლა;

გ) შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

მუხლი 34. მოწვეული პერსონალი

1. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის უნივერსიტეტში სასწავლო კურსის წასაკითხად ან/და პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობის განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის ან/ და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი.

მუხლი 35. აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები

1. აკადემიური პერსონალი კონკურსის წესით არჩევის შემდეგ თანამდებობაზე ინიშნება რექტორის ბრძანებით, შემდეგი ვადით: პროფესორი - 5 წლით; ასოცირებული პროფესორი - 3 წლით; ასისტენტ პროფესორი -3 წლით, ასისტენტი-3 წლით.

2. სამეცნიერო პერსონალი კონკურსის წესით არჩევის შემდეგ თანამდებობაზე ინიშნება რექტორის ბრძანებით, შემდეგი ვადით: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი- 3 წლით; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი- 3 წლით; მეცნიერი თანამშრომელი -3 წლით,

3. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 36. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

1. პერსონალის უფლებები და ვალდებულებებია:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

გ) განახორციელონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებები;

დ) დაიცვას უნივერსიტეტის დებულებით, ეთიკის კოდექსით და შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ე) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

მუხლი 37. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობები და სხვა პერსონალი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება:

- მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტი
- რექტორი;
- ვიცე-რექტორი;
- სკოლის დეკანი;
- უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი.

2. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო განრიგით გათვალისწინებული, უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

თავი VI. სტუდენტი

მუხლი 38. უნივერსიტეტში სტუდენტების მიღება

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის/ /ერთსაფეხურიანი/ მაგისტრატურის/დოქტორანტურის (სადოქტორო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში) პროგრამის გასავლელად.

მუხლი 39. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. უნივერსიტეტის აკადემიური საფეხურის სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში;
- გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის, სკოლების წარმომადგენლობით ორგანოებში;
- ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- თ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- ი) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- კ) პერიოდულად შეაფასოს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობა;
- ლ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები.
- მ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

მუხლი 40. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;
2. დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი

მუხლი 41. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ეთიკის კოდექსით.

მუხლი 42. სტუდენტური თვითმმართველობა

1. უნივერსიტეტში იქმნება სკოლების წარმომადგენლებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.
2. სტუდენტური თვითმმართველობა:
 - ა) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;
 - ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;
 - გ) მიავლენს წარმომადგენელს სკოლის საბჭოში;
 - დ) ახორციელებს კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

თავი VII. განათლების საფეხურები

მუხლი 43. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები

1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება პირველ და მეორე საფეხურზე. კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პროცედურების გავლის შემდეგ-მესამე საფეხურზეც.

2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:

ა) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;

ბ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;

გ) სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

დ) მესამე საფეხური-დოქტორანტურა-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს (უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლების მოპოვების შემთხვევაში);

თავი VIII. აკადემიური ხარისხი

მუხლი 44. აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. აკადემიურ ხარისხს უნივერსიტეტი ანიჭებს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევის და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.

2. აკადემიური განათლების ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტი გასცემს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს- დიპლომს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისი დანართით.

თავი IX. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 45. უნივერსიტეტის დებულების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის მიერ. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სენატის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.